



სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის

ბრძანება № 128

2022 წლის 8 ივლისი

ქ. თბილისი

მეცნიერების პოპულარიზაციისათვის მიზნობრივი საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტების
დამტკიცების შესახებ

„მეცნიერების პოპულარიზაციისათვის მიზნობრივი საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 სექტემბრის N201/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, „2022 წლის მეცნიერების პოპულარიზაციისათვის მიზნობრივი საგრანტო კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობების და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ“ სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2022 წლის 26 იანვრის N08 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის პირობების მე-7 მუხლის მე-9 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ და „ჟ“ ქვეპუნქტების საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (N779170, 08.07.2022) შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს მეცნიერების პოპულარიზაციისათვის მიზნობრივ საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტები ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. გამარჯვებული პროექტების ავტორებმა არაუგვიანეს 2022 წლის 25 ივლისის 18:00 საათისა სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) კანცელარიაში უნდა წარმოადგინონ:

ა) თანადაფინანსების ცნობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ორიგინალი – თუ ცნობის ორიგინალი უცხოენოვანია, მას თან უნდა ერთვოდეს ქართული თარგმანი დამოწმებული თარგმანთა ბიუროს მიერ.

ბ) ინსტიტუციური პროექტის შემთხვევაში:

ბ.ა) წამყვანი და თანამონაწილე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ორგანიზაციის მიზნობრივი ანგარიშის რეკვიზიტები – ამ პროექტისათვის გახსნილი ლარის საბანკო/სახაზინო ანგარიშის ნომერი, რომელზეც გამარჯვების შემთხვევაში ჩაირიცხება გრანტის თანხა და ცნობა ბანკიდან, რომ აღნიშნულ ანგარიშზე არ დაირიცხება სარგებელი;

ბ.ბ) ცნობა იმის შესახებ, რომ წამყვან და თანამონაწილე (ერთობლივი პროექტის შემთხვევაში) ორგანიზაციებს არ გააჩნია დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე.

გ) ფიზიკურ პირთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი პროექტისთვის:

მიზნობრივი საბანკო ანგარიშის (ლარის) რეკვიზიტები, რომელზეც განხორციელდება მხოლოდ პროექტთან დაკავშირებული საბანკო ოპერაციები და ცნობა ბანკიდან, რომ აღნიშნულ ანგარიშზე არ დაირიცხება სარგებელი.

3. დაევალოს ფონდის ადმინისტრაციულ და იურიდიულ დეპარტამენტს გამარჯვებული პროექტების წარმდგენებთან საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არაუგვიანეს 2022 წლის 31 აგვისტოსი.
4. დაევალოს ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურს, ამ ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე.
5. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

ჯაბა სამუშია



დამტკიცებულია
 სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო
 ფონდის გენერალური დირექტორის
 2022 წლის 8 ივლისის №128 ბრძანებით

2022 წლის მეცნიერების პოპულარიზაციისათვის მიზნობრივი საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტები (ინსტიტუციური პროექტების შემთხვევაში)

N	შიფრი	პროექტის სათაური	წამყვანი ორგანიზაცია
1	SPG-22-264	ონლაინ სკოლა "ზურგჩანთა"	საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაცია
2	SPG-22-437	სიცოცხლის არსებობა კოსმოსში და ფერმის პარადოქსი	თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი
3	SPG-22-444	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების პოპულარიზაცია ზოგად-საგანმათანლებლო სკოლაში: შევიმეცნოთ ჩვენი სამყარო	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
4	SPG-22-298	სამედიცინო ტექნოლოგიები სკოლაში	ალტე უნივერსიტეტი
5	SPG-22-218	კიბერ უსაფრთხოების Cisco აკადემია ბავშვებისთვის	კავკასიის უნივერსიტეტი
6	SPG-22-161	მათემატიკის აკადემია	აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
7	SPG-22-782	სამეცნიერო სპარინგი - ქართველები მეცნიერებაში	სასწავლო-კვლევითი სამეცნიერო ცენტრი
8	SPG-22-965	ფიზიკა და ტექნოლოგიური პროგრესი	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
9	SPG-22-213	ქართული საბავშვო მწერლობა. „დედაენიდან“ „სალამურამდე“	კომპარატივისტული ლიტერატურის ქართული ასოციაცია
10	SPG-22-746	მუჰაჯირების კვალდაკვალ	ახალგაზრდული მოძრაობა ამრა
11	SPG-22-1530	სოციალური მეცნიერებების პოპულარიზაცია სკოლებში	საქართველოს უნივერსიტეტი
12	SPG-22-506	ცხოვრება ქვის ხანაში	აჭარის მუზეუმი
13	SPG-22-1032	ელექტრონული კომერციის სტუდენტური ფესტივალი - მეცნიერების როლი ციფრულ ეკონომიკაში	ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი
14	SPG-22-087	მზის ფიზიკის საოცრებები: მიღწევების და თანამედროვე, გადაუჭრელი, სამეცნიერო პრობლემების გაზიარება თბილისის და რეგიონების სკოლის მოსწავლეთათვის	საქართველოს უნივერსიტეტი

15	SPG-22-313	მიკრობული სამყარო და ადამიანი	საქართველოს ზოგადი და გამოყენებითი მიკრობიოლოგიის ასოციაცია
16	SPG-22-854	„პოლიტიკის მეცნიერებათა დარგობრივი ნავიგატორი“	კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

**2022 წლის მეცნიერების პოპულარიზაციისათვის მიზნობრივი საგრანტო კონკურსში გამარჯვებულები
(ჯგუფური პროექტების შემთხვევაში)**

N	შიფრი	პროექტის სათაური
1	SPG-22-210	"მამულიშვილი"
2	SPG-22-855	მათემატიკის საოცარი სამყარო
3	SPG-22-392	მეცნიერება ყოფით ცხოვრებაში: ენერგოეფექტურობა და უსაფრთხოება.
4	SPG-22-219	მომავალი თაობის კურსი მეცნიერებისაკენ